

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N18

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

11.12.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, გიგა გოგბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამთა დვალისძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალისძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ვარლამ გიორგაძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი. (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჭანტურიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 60 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.406) სსიპ „საქართველოს

ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჭანტურიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 60 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.406) სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა , რომ ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში ინტესიურად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ჭირდებათ სეპტიკის მოსაწყობად და გვინდა თანხმობა, რომ გადავცეთ ეს 60 კვმ ნაკვეთი უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჭანტურიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 60 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.406) სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე